გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება# 28
2007 წლის 30 მარტი
ქ. გურჯაანი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ~ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის `დ~ ქვეპუნქტის შესაბამისად

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გაუქმდეს გურჯაანის რაიონის საკრებულოს 2004 წლის 15 ოქტომბრის #4 გადაწყვეტილება `გურჯაანის რაიონულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ~.
2. შემოღებულ იქნას გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის.
3. მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.
4. მოსაკრებლის განაკვეთი ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვრა 0.5 ლარის ოდენობით.
5. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობისათვის.
6. მოსაკრებელი გადაეხდევინება წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე.
7. პასუხისმგებლობა ამ დადგენილების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. მოსაკრებელთან დაკავშირებულ სადაო საკითხთა გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი `ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ~, (თავი III, მუხლი 15).
9. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ხევიაშვილი